სიბრძნე იმედისა

"ახლა რაღას იტყვი?"

მატჩი ის–ის იყო დამთავრდა, ირონიით შეზავებული ეს სიტყვებიც საკუთარ თავთან უსიამო დიალოგის დასაწყისს ნიშნავდა.

ფიქრიც კი ზედმეტი იყო ნაუცბათევ პასუხზე. დამარცხება, რაღაც უძლურების შეგრძნებას რომ ეთანაბრება, ცოტა არ იყოს, ძნელი მოსანელებელია. ერთხანს ეწინააღმდეგები ამ აზრს, მერე კი სინამდვილეს მაინც თავისი გააქვს და გინდა–არგინდა, ნებდები.

თბილისის "დინამო" დამარცხდა დიდი ანგარიშით. მეოთხედფინალში გასასვლელი კარი ულმობლად ჩაირაზა. ახლა ეს ყველაფერი უტყუარი ფაქტებია. დღევანდელი დღის სამზერიდან ძლივძლიობით მოჩანს მომავალი საკავშირო ჩემპიონატი, ახლა ევროპული ტურნირი. უთუოდ გაჭირდება ოთხი თვის მოლოდინის გზაზე ამ მძიმე მარცხის ტვირთით სიარული.

* * *

თქმა არ უნდა, მატჩის ანგარიში ყოველთვის არ გამოხატავს ძალთა რეალურ თანაფარდობას, თუმცა, ანგარიშიც არის და ანგარიშიც. 0:4–ს არ შეიძლება თავისი მიზეზები არ გააჩნდეს. სხვა საქმეა ამ მიზეზთა რაობა, მაგრამ მათი არსებობა უეჭველია.

დავიწყოთ იმით, რომ ციურიხის მატჩში "დინამო" მეტოქეზე სუსტი იყო. ეს ეხება გუნდის ბრძოლისუნარიანობასაც და საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის მორალურ მზადყოფნასაც. შეგნებულად ვუვლით გვერდს ტაქტიკას. ამ მნიშვნელოვან საფეხბურთო კომპონენტს ერთ რომელიმე მატჩში ვერც იპოვი და ვერც დაკარგავ. ეს იარაღი თანდათან, ხანგრძლივი დროის მონაკვეთში იჭედება და ბასრდება, ანდა ასევე თანდათან ცვდება. დინამოელებს ვერც ერთგვარ მომლოდინე თამაშის მანერას ვუსაყვედურებთ. ერთი იმიტომ, რომ სხვისი მინდვრის ფაქტორი თითქმის ყველა შემთხვევაში თავისას ამბობს (გამონაკლისები მოწინააღმდეგე ძალების აშკარა შეუფასებლობის შედეგია), და მორეც – სტუმრად მოგებულ ყველა მატჩში "დინამომ" სწორედ ასე ითამაშა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ მთავარი შესრულების ხარისხია და არა მანერა. თუ ტაქტიკა. ისიც სათქმელია, რომ ფეხბურთელებს არც მეტისმეტი შიში წაჰყოლიათ შვეიცარიაში და არც გადაჭარბებული ოპტიმიზმი.

ესე იგი ბრძოლისუნარიანობა (ფიზიკური პოტენციალი) და ფსიქოლოგიური მდგრადობა.

"გრასჰოპერსთან" შეხვედრამდე და მერეც არა ერთხელ ითქვა და დაიწერა რომ ამ ორივე ნიშნის მიხედვით გუნდი ერთობ არასასურველ შთაბეჭდილებას სტოვებს, ერთიც და მეორეც კრიტიკულ ზღვარზეა მისული. პრესაში საკმაოდ გულახდილი, საუბარიც გაიმართა იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ.

ფიზიკური დაღლილობის აშკარა და უკვე საგანგაშო ნიშნები პირველ თბილისურ ორთაბრძოლაშიც გამოჩნდა – მთელი მეორე ტაიმი "დინამო" ინერციითღა განაგრძობდა თამაშს. საპასუხო შეხვედრამ კოლექტივის ფსიქოლოგიური მდგრადობაც შეამოწმა, აქაც იგივე შედეგი მივიღეთ (სხვათა შორის, მოსალოდნელიც), ფეხბურთელები ნერვიულადაც გადაღლილნი აღმოჩნდნენ – სხვა რითი ავხსნათ ყვითელი თუ წითელი ბარათების უჩვეულო სიმრავლე? ვფიქრობ, ძირითადად ამ ორმა ფაქტორმა განსაზღვრა ქართველ ფეხბურთელთა მარცხი (იგულისხმება თბილისურ მატჩში მინიმალური გამარჯვებაც).

არის კიდევ ერთი რამ, რის შესახებ საუბარი იქნებ უხერხულიც იყოს, მაგრამ უთუოდ საჭიროა.

თბილისის "დინამოს" ევროპულ ტურნირებში აღიარებულ, პროფესიულ კლუბებთან უწევს ბრძოლა. ამ შემთხვევაში სიტყვა პროფესიონალიზმს საქმის ყოველმხრივ, ყოველი კუთხით ცოდნასა და პრაქტიკულად გამოყენების ფუნქციას ვაკისრებთ. მინდორზე გამოსული ევროპული გუნდების უმეტესობისთვის არსებობს ერთადერთი მიზანი – შედეგი. ასეთი გუნდი არაფერს სჩადის ისეთს, რაც ზიანს მოუტანს, და პირიქით, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დააზარალოს მეტოქე. საუბარია მსაჯისთვის შეუმჩნეველ დარღვევებსა და ისეთ ჯარიმებზე, არავითარ შემთხვევაში რომ არ მოჰყვება არბიტრის რამდენიმე მკაცრი განაჩენი. საუბარია აშკარა სიმულაციასა (დროის გაჭიანურება, ტემპის დაგება) და მეტოქის საჯარიმოში ეფექტურადა წაქცევის "ხელოვნებაზე"... რა თქმა უნდა, მკრეხელობაა

ასეთნაირი იარაღით აღჭურვა და მისი გამოყენება უსურვო საყვარელ გუნდს, მაგრამ ამ "კეთილშობილ ილეთთა" არსენალის ცოდნა მაინც აუცილებლობად მესახება. სულ უბრალო მიზეზის გამო.

არაერთხელ და ორჯერ მინახავს როგორ კარგავს წონასწორობას თბილისის "დინამო" ამგვარ "რიფებში" გავლისას.

ჩვენმა გუნდმა ორწლიანი აღმავლობის შემდეგ რაღაც განსაზღვრულ დონეს მიაღწია. ეს ფაქტია და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. საფიქრებელია, რომ ის რესურსები რაც აქამდე კმაროდა ზრდისთვის, ხვალ ერთი ნაბიჯითაც ვეღარ წასწევს გუნდს. ბუნებრივია, მარტო სურვილი ცოტას ნიშნავს, ახლის დაძებნაა საჭირო, ამ სახის იქნება ის, თუ იმ სახის, სულ ერთია, რესურსები უნდა დაიძებნოს და რაც ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესი.

ერთი დეტალი:

"გრასჰოპერსთან" პირველი მატჩის შემდეგ შეიქმნა ორკვირიანი "ღია ფანჯარა". გუნდი არჩევანის წინაშე დადგა – ან სერიოზული მატჩები, ან – დასვენება. რა საკითხავია, რომ ერთიც და მეორეც განსაზღვრულ რისკთან იყო დაკავშირებული – სერიოზულ მატჩებს კიდევ უფრო გადაღლა და ისედაც საკმაო ტრავმების მომრავლება შეიძლებოდა მოჰყოლოდა, დასვენებაც ერთობ საეჭვოს ხდიდა საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური კონდიციების კვლავ აღდგენას. არადა უთუოდ არსებობდა რაღაც ოპტიმალური ვარიანტი, რომლის მოძებნას მარტო მწვრთნელები და ექიმი ამ საკითხის სათანადო მეცნიერულ დონეზე დამუშავების გარეშე, ბუნებრივია, ვერ შეძლებდნენ. თუმცა ეს უკვე სახვალიო საუბრის თემაა. დავუბრუნდეთ ციურიხის მატჩს.

და მაინც, მიუხედავად ობიექტური პირობებით შექმნილი არასახარბიელო ვითარებისა, ჩვენ მაინც გვქონდა მეოთხედფინალში გასვლის იმედი, იყო საამისო წინამძღვრებიც და, კაცმა რო თქვას, ვალდებულიც ვიყოთ (რა თქმა უნდა, ამას ყველას მისამართით არ ვამბობთ. რედაქციაში შემოსული წერილობით თუ ვიმსჯელებთ, აქა–იქ, მაგრამ მაინც გვყვანან "გამოუსწორებელი" პესიმისტები, ადამიანები, ყოველ წუთს მზად რომ არიან ხაზი გადაუსვან "დინამოს" ყველა წარმატებას – შარშანდელი თასი და წლევანდელი ვერცხლიც კი შემთხვევითობად მონათლონ).

7 დეკემბრის მატჩმა აჩვენა, რომ ეს იმედი საკმაოდ მცირე მოცულობისა ყოფილა და ისიც არარაობამდე დაიყვანა რამდენიმე ფაქტორმა.

მსაჯებზე ჩივილი ლამისაა მიზეზიანი ბავშვის ჭირვეულობად დაგვჩემდეს. ვიცი, ვერაფერი სასიამოვნოა ისევ ამ თემაზე წუწუნი, მაგრამ გაზაფხულიდანვე დაბედებული მოუშორებელი ტვირთი აგერ დეკემბრამდე მოსდევს და მოსდევს გუნდს. თუმცა, ეს ოდნავადაც არ ამართლებს კოლექტივს, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ უფრო გაირთულო ისედაც გართულებული საქმე და არ გამოიყენო შანსი, რომლის პოვნაც იქნებ და შესაძლებელი იყო დარჩენილ დროში.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ამ მატჩის "თავგადასავლებს" მართლაც არ მოეძებნება გამართლება. განსაკუთრებით მინდა შევჩერდე ფაქტზე, მთელი სეზონის განმავლობაში შეგნებულად რომ ვუვლით გვერდს.

ვლადიმერ გუცაევმა უეფა–ს ტურნირის 4 მატჩში. 3 გაფრთხილება მიიღო. რა სათქმელია, რომ გუნდს, და არა მარტო გუნდს, ერთობ ძვირად დაუჯდა ის, სპორტულ ბრძოლას გაცილებული ტრიუკები. ვფიქრობ, უხერხულიცაა იმის შეხსენება, რომ "დინამოს" ნებისმიერი გამარჯვება იქნება თუ დამარცხება, მარტო "დინამოსი" არ არის, მით უმეტეს, ერთეული სპორტსმენისა.

ახლა კი ისევ გულშემატკივარს მივმართავ.

მცირე გამონაკლისის გარდა ჩვენ, ფეხბურთის მოყვარულნი ერთობ მომთხოვნი ვართ. იქამდეც კი, რომ წაგებული თამაშის დროსაც ფეხბურთელებისაგან ვაჟკაცურად, ლამაზად დამარცხებას მოვითხოვთ. იმავე მიზეზით, ჩვენი ფეხბურთისთვის უსიამო წუთებში, იგივე გვმართებს ამ მშვენიერი თამაშის თაყვანისმცემლებსაც.

გაზაფხულიც მოვიდა, ისევ იქნება გამარჯვებები, მჯერა არაერთი და ორი. კაცი იმედით ცოცხლობსო, ბრძნულად უთქვამს ხალხს. საბედნიეროდ, ასეთია ადამიანის ეს კეთილი თვისება, მუდამ სითბოს რომ უნარჩუნებს რწმენას და სწორედ ეს არის იმედის სიბრძნეც.

”ლელო” 10.12.1977 წ.